განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

21/07/2026

MES 0 26 0000958429

ბრძანება

თბილისი

უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სწავლის დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „2025 წლის 17 დეკემბრამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №3 დადგენილების პირველი მუხლის მე-16-22-ე პუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 03 ივლისის №857946 და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 20 ივლისის №950546 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლის დაფინანსების მიზნით, დამტკიცდეს:
ა) აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების წესი და პირობები, ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;
ბ) მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების წესი და პირობები, ამ ბრძანების დანართი დანართი №2-ის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გივი მიქანაძე